პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 47 (1683) ○ სამშაბათი, 18 აპრილი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

★

სურათზე: კალათში ბურთს ტყორცნის ი. გაგარინი.
(სურათი გადმობეჭდილია გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდიდან").

★

დიდება იური გაგარინს!

ჩვენი სიამაყე

ჩვენ, საქართველოს სპორტსმენები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ სიხარულს განვიცდით ამ დღეებში. საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მუშებმა თავდადებული შრომით ადამიანის გენიას გზა გაუკაფეს მსოფლიო სივრცის სიღრმეებში. განხორციელდა კაცობრიობის დიდხანის ნატვრა: ადამიანი ავიდა კოსმოსში და ეს შესანიშნავი გამარჯვება მით უფრო ხასიხარულოა, რომ პირველი კოსმონავტი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი ი. გაგარინია.

ვამაყობთ ჩვენი სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე გამარჯვებით. ეს კი გვავალებს კიდევ უფრო ვამრავლოთ სამამულო სპორტის წარმატებები, ვასახელოთ სამშობლო, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა თავისი უძლეველობა, რომ საბჭოთა ადამიანს შეუძლია სასწაულები მოახდინოს, თუ ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

ნ. გვასარია,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

✦

ფიზკულტურული სალამი

ადამიანი კოსმოსში! რა შეიძლება იყოს ამ სიტყვებზე უფრო საპატიო და საამაყო. აღსრულდა კაცობრიობის ყველაზე დიდი და ხანუკვარი ოცნება. ადამიანმა გადალახა ფანტასტიკის საზღვარი და თავისი თვალით ნახა კოსმოსის თვალუწვდენი სივრცე.

სამყარო გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კოსმონავტის, იური ეაგარინის ფრენას დედამიწის გარშემო. საბჭოთა ადამიანმა პირველმა განახორციელა ის, რაც ხაუკუნეების მანძილზე კაცობრიობის ოცნების და ნატვრის საგანს წარმოადგენდა.

მაგრამ ეს დიდი საქმის დასაწყისია მხოლოდ. სულ მალე დადგება დრო, როდესაც საბჭოთა ადამიანები და მათ შორის სპორტსმენებიც შესდგამენ ფეხს სამყაროს უსაზღვრო სივრცეებში. იური გაგარინის მიერ გაკვალული გზა იქნება ჩვენი შუქი და ნათელი ამ უცნობ გზაზე.

ფიზკულტურული სალამი მსოფლიოში პირველ კოსმონავტს, შესანიშნავ საბჭოთა ადამიანს, იური ალექსის-ძე გაგარინს.

ა. ქორიძე,
ოლიმპიური ჩემპიონი.

✦

სამი აბსოლუტური რეკორდი

საჰაერო საქმის განვითარების არნახულმა ტემპებმა, იერიშმა კოსმოსზე ახალი ამოცანები წამოჭრეს საავიაციო საერთაშორისო ფედერაციის წინაშე. ფედერაციის სხდომაზე, რომელიც ამას წინათ პარიზში გაიმართა, დღის წესრიგში იდგა ასტრონავტიკის კომისიის შექმნა, რომლის პირველსავე სხდომაზე შემუშავებული იქნა ადამიანის კოსმოსში ფრენის რეკორდების რეგისტრაციის წესები.

100 კილომეტრამდე სიმაღლის დაპყრობა სპორტული აეროსტატური ფუნქციებში. ამდეგად, ხელოვნურ შემდეგ სიმაღლის დაპყრობა შეადგენს ასტრონავტმა საქმეს. ასტრონავტიკის კომისიის მიერ შემუშავებული რეკორდების რეგისტრაციის წესებით განხილული და რეკორდად რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო შემდეგი მაჩვენებლები: დედამიწის ორბიტის ფარგლებში ადამიანის ფრენის ხანგრძლივობის აბსოლუტური რეკორდი, დედამიწის ორბიტის ფარგლებში სიმაღლის აბსოლუტური რეკორდი, დედამიწის ორბიტის ფარგლებს გარეთ სიმაღლის აბსოლუტური რეკორდი და რაკეტის წონის აბსოლუტური რეკორდი, როცა ადამიანი აცილდება 100 კილომეტრს და წარმატებით დაბრუნდება დედამიწაზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის კომისიას ამ დადგენილების მიღების შემდეგ დიდხანს არ დასჭირებია ლოდინი: საბჭოთა კოსმონავტმა იური გაგარინმა თავისი ერთი გაფრენით დედამიწის არგვლივ ერთბაშად სამი აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

აღსრულდა ნატვრა!

ხარობს სამშობლო ფუძემაგარი,
ყველაფერს ლაღი ღიმილი მოსავს;
აღსრულდა ნატვრა!.. მამაც
გაგარინს
კოსმოსში დააჭვს საბჭოთა დროშა.

გაპყვა კრემლიდან შუქი მზიური
მიარღვევს ღრუბლებს, მხნეობს
და მძლავრობს..
ხომ არაფერი გტკივა იური,
სტიქიონებთან ნაბრძოლო
მგზავრო?!

როცა დატოვე ცა მშობლიური
და დაფრინავდი ღრუბლებზე
მაღლა,
ხომ არ გიჭირდა სუნთქვა
იური?..
ხომ არ გიგრძნია შიში და
დაღლა?..
ჯობე მამაც ზღაპრულ იკაროს,
გულს გიმხნევებდა კრემლის
ნაღარა..
..შენმა გამზრდელმა მიწამ
იხაროს,
მაღლი შენ გამჩენ დედის
ჯაღარას.

ვ. საღლიანი

ი. გალაში—187 სმ.

ბუქარესტში გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც დიდი წარმატება მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში ი. ბალაშმა. ხახელმოხვეჭილმა რუმინელმა მძლეოსანმა ქალმა გადალახა 187 სმ და ერთი სანტიმეტრით გაუმჯობესა მის მიერ გასულ წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

მეცამეტე პარტია

გუშინ მსოფლიო ჩემპიონ მ. ტალს და ექს-ჩემპიონ მ. ბოტვინიკს შორის გაიმართა მატჩ-რევანშის მეცამეტე პარტია. იგი არ დამთავრებულა და გადადებულია ბოტვინიკის მცირე უპირატესობით.



სურათზე: პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები შეჯიბრების შემდეგ ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს. ფოტო ვ. ტუტოვისა.

სოჭის მრავალდღიანი ველორბოლა

საბჭოთა კავშირის უძლიერესმა ველოსიპედისტებმა მშვიდობის ველორბოლის წინ ჩაატარეს შერჩევითი შეჯიბრება შავი ზღვის სანაპიროზე. ველორბოლის პირველი ეტაპი, როგორც ცნობილია, მოიგო ხარკოველმა მ. კურბატოვმა. საინტერესო ბრძოლა გაიმართა რბოლის ურთულეს ეტაპზე სოჭი-გოლოვინკა-სოჭი, რომლის საერთო სიგრძე 100 კილომეტრი იყო. სპორტსმენებმა ამ დისტანციაზე კარგი მომზადება გამოავლინეს: საშუალო სიჩქარე საათში 35,7 კილომეტს უდრიდა. ეტაპი მოიგო ლენინგრადელმა ა. პეტროვმა, რომელიც ორი ეტაპის ჯამით ველორბოლის ლიდერი გახდა.

მესამე ეტაპის ადგილი ადლერი იყო. აქ მოეწყო ინდივიდუალური რბოლა 40 კილომეტრზე. გამარჯვება კვლავ ა. პეტროვს დარჩა. ამ დღეს ველოსიპედისტები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სოჭშიც, სადაც მოეწყო მესამე ეტაპის მეორენახევარი. დისტანციის სიგრძე 3,5 კილომეტრი იყო, ველოსიპედისტებს იგი 28-ჯერ უნდა გაეარათ. ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე გადაკვეთეს ლენინგრადელმა ი. მელიხოვმა და როსტოველმა ა. რასპოპოვმა.

მეოთხე და უკანასკნელი ეტაპის საერთო სიგრძე 140 კილომეტრს აღემატებოდა. უკანასკნელ დისტანციაზე თავი გამოიჩინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. კაპიტონოვმა, რომელიც ადრე მიღებული ტრავმის გამო წინა ეტაპებზე ლიდერთა შორის არ ჩანდა.

მსოფლიო ჩემპიონები — ჩინელები

პეკინის სპორტის სასახლეში მაგიდის ჩოგბურთში მსოფლიოს გუნდური პირველობის დამთავრების შემდეგ 148 სპორტსმენი ჩაება ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. ვაკთა შორის თავი ისახელა ჩინელმა სპორტსმენმა ჩჟუან ძე-დუნმა, რომელმაც მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის სახელი. ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა პეკინის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ციუ ჩჟუან-ხუეი. ვაკთა წყვილებში პირველნი იყვნენ იაპონელები ხოშინო და კიმურა, ხოლო ქალთა შორის — რუმინელები ალექსანდრუ და პიტიკე. შერეულ წყვილებში მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვეს იაპონელმა სპორტსმენებმა ოგიმურამ და მაცუძაკიმ.

საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვება

გასულ კვირას მოსკოვში, სპორტის სასახლეში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური შეხვედრა ფრენბურთში. ითამაშეს დედაქალაქისა და ბუქარესტის „დინამოს" გუნდებმა.

შეჯიბრება მიმდინარეობდა საბჭოთა სპორტსმენების დიდი უპირატესობით, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 (15:3, 15:6, 15:7). ამ კოლექტივების მეორე შეხვედრა გაიმართება ბუქარესტში.

პირველი დუგლი

16 აპრილს მოსკოვში გაიმართა დასკვნითი ფინალური შეხვედრა სსრ კავშირის თასზე შაიბიან ჰოკეიში. ერთმანეთს ხვდებოდნენ ცსკა და ‘გორკის „ტორპედო". შეხვედრამ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა და დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 6:3.

ამრიგად, დედაქალაქის არმიელმა ჰოკეისტებმა ზამთრის გასულ სეზონში ორი დიდი გამარჯვება მოიპოვეს: გახდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები და დაისაკუთრეს სსრ კავშირის თასი.

ტურიზმის მოყვარულთა საყურადღებოდ

ცნობილია, რომ საქართველო ტურისტთა საოცნებო მხარეა. ტურიზმის განვითარებისათვის ჩვენში საუცხოო პირობებია, მაგრამ დასამალი არაა, რომ მასობრივი ტურიზმი საკმაოდ ჩავარდნილია საქართველოში და თავისი კანონიერი ადგილის დაკავებას მოითხოვს სპორტის სხვა სახეობათა გვერდით. ამ მტკივნეულ საკითხებზე იმსჯელა ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმმა. მან დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, მაგრამ მასობრივ ტურიზმზე ლაპარაკიც ზედმეტია, სანამ არ მეგროვდება ფაქტობრივი მასალა ტურიზმის მდგომარეობის შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში.

ბევრგან მიმდინარეობს თვითმოქმედი ტურისტული ჯგუფების მუშაობა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მაგრამ ზუსტი ცნობები მათი რაოდენობისა და საქმიანობის შესახებ ფედერაციას არ მოეპოვება. ამ გადაუდებელი საკითხის მოსაგვარებლად ფედერაცია მიმართავს ყველა ქალაქისა და რაიონის სპორტკავშირის ხელმძღვანელობას მიაწოდონ ფედერაციას ცნობები ადგილობრივ ტურისტთა საქმიანობის შესახებ.

გრაფების მიხედვით უნდა აღინიშნოს კოლექტივებისა და სპორტულ საზოგადოებათა სექციების სრული სახელწოდება. ტურისტული კადრების აღმრიცხველ ფურცელზე (ადგილებზე შეიძლება დამზადდეს) საჭიროა აღირიცხოს ტურისტთა ზუსტი რაოდენობა ოსტატ თანრიგოსანთა და „სსრკ კავშირის ტურისტის“ ნიშნოსანთა ჩვენებით.

ტურისტული სეზონი ძალაში შედის და საჭიროა ზემოჩამოთვლილი ცნობების გამოგზავნა არა უგვიანეს 25 აპრილისა.



ხურათებზე: ახალგაზრდა მზარდი ტანმოვარჯიშეები ა. ჯანუაშვილი (მარცხნივ) და გ. თორაძე.

ფოტო გ. სახეჩიძისა.

როცა თამაშდება პარტია

მოსკოვში ჭადრაკის მოყვარულთა ყველა გზა ესტრადის თეატრისაკენ მიდის. მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ყველა მოსკოველი ახერხებს ტალ-ბოტვინიკის „დუელზე“ დასწრებას. ესტრადის თეატრი, თუმცა დიდი ნაგებობაა, მაგრამ მასში მხოლოდ 1.300 ადგილია, მოსკოვში კი მილიონობით ადამიანი ცხოვრობს. სწორედ ამ გარემოებამ უკარნახა ორთაბრძოლის ორგანიზატორებს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების—ტელევიზიის, რადიოსა და ტელეფონის — ფართო გამოყენება. მაგრამ ესტრადის თეატრის წინ მაინც არიან ბილეთის მაძიებელნი, თუ ვინმეს გაუღიმა ბედმა, ხომ კარგი. მაგრამ თუ არა? ორგანიზატორებმა „შეიცოდეს“ ისინი და მათთვის შენობის წინ დადგეს სადემონსტრაციო დაფა. უნდა ნახოთ რა გაცხარებით კამათობენ მაყურებლები. მათს მხურვალე ენთუზიაზმს ვერც გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა ანელებს, ვერც მილიციელის სასტვენი. ერთი სიტყვით ქალაქის აღმასკომში ზოგიერთმა საკითხიც კი დასვა დროებით, მატჩ-რევანშის პერიოდში, ბერსენევის სანაპიროზე ჩაიკეტოს ტრანსპორტის მოძრაობა.

ბედნიერი გულშემატკივარნი თამაშის დაწყებამდე ადრე ავსებენ დარბაზს. ისინი ყველაფერს ადევნებენ თვალყურს, რადგან ყოველი, რაც ხდება გარშემო ისტორიულ ელფერს ატარებს.

სცენის სიღრმეში ვეებერთელა წარწერაა „მატჩ-რევანში მსოფლიო პირველობაზე“, ხოლო მის ქვემოთ ორი ელექტროსაათია, რომლებიც შეერთებული არიან მეტოქეთა საათებთან. სცენის მარცხენა და მარჯვენა მხარეს დგას აგრეთვე ვეებერთელა სადემონსტრაციო დაფა. სცენის შუაგულში მოთავსებულია მაგიდა საჭადრაკო დაფით, რომელსაც უსხედან ტალი და ბოტვინიკი, ჭადრაკის კომპლექტი, რომლითაც თამაშობენ გროსმაისტერები ახალია, შარშანდელი ორთაბრძოლის ჭადრაკი შეისყიდა ლატვიის სახელმწიფო მუზეუმმა.

იქვე სცენაზე მარჯვნივ მწვანე მაუდ-გადაფარებულ გრძელ მაგიდას უსხედან მსაჯები გ. შტალბერგი და ჰ. გოლომბეკი. ორივე გამოჩენილი მოჭადრაკე ევროპის და ამერიკის მრავალი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტები ან. ბოტვინიკი. ჩვეულებრივ ლილიენტალის, ფლორის, პეტროსიანის, სპასკის, ტოლუშის, კოტოვის და სხვების შეფასებებს გაფაციცებით უგდებენ ყურს ეურნალისტები, რომელთა შორის არიან ამერიკის, საფრანგეთის, გფრ-სა და გდრ-ს, უნგრეთის, იუგოსლავიის პრესის წარმომადგენლები. კორესპონდენტებს პრეს-ბიურო ორჯერ სთავაზობს დაბეჭდილ ცნობებს პარტიის შესახებ პრივილეგირებულ მდგომარეობაში არის რიგელი ოსტატი ა. გიპსლისი, რომელიც „ცხელ-ცხელ“ სვლებს ტელეფონით ატყობინებს მსოფლიო ჩემპიონის თანამემამულეებს. რიგიდან ეს სვლები ეფინება მთელ ლატვიას.

მესამე სართულზე ჯიხურია, საიდანაც ყველასათვის ცნობილი რადიოკომენტატორი ვ. სინიავსკი აწყობს გადაცემას რადიომსმენელებისათვის. მიკროფონთან კომენტარიებით გამოდიან გროსმაისტერები და ოსტატები.

საგანგებოდ გამოყოფილ აივანზე ცხარე ბრძოლები იმართება მაყურებლებსა და გროსმაისტერებს შორის ერთდროული თამაშების სეანსებში.

გამუდმებით ისმის ნაცნობი შეკითხვები: „როგორ ითამაშა ბოტვინიკმა?“ „რა უპასუხა ტალმა“.

პარტია გრძელდება...

ა. ბორისოვი

ძალა მასობრიობაშია

ქარხანა „ელექტროკარი“ ყველაზე ახალგაზრდა საწარმოა ბათუმში. ამ საწარმოში 300-ზე მეტი კაცი მუშაობს, რომელთა უმეტესობა ახალგაზრდობაა. ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი „განთიადის“ აჭარის საბჭოს სისტემაში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. მართალია, აქ ჯერ არ არიან სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები, მაგრამ კოლექტივი ძალა მასობრიობაშია. საკმარისია ითქვას, რომ „განთიადის“ წევრი მუშათა 70 პროცენტი, ფიზკულტურულ კოლექტივში შექმნილი ფრენბურთის, სროლის, ჭადრაკის, ფეხბურთისა და სხვა სექციებში, რომელთა მუშაობას ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, ხარატი ს. სედინა ავარჯიშებს ფრენბურთელებს, მღარავი გ. ვასაძე — კალთბურთელებს, ზეინკალი-ამწყობი გ. გუბელაძე — ფეხბურთელებს და ა. შ.

სპორტულ წარმატებებს ახალგაზრდა მუშები შესანიშნავად უხამებენ მაღალ შრომით მაჩვენებლებს. სპორტსმენები, როგორიცაა, მოწინავე მუშებიც არიან. თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მ. რიოტენბერგი, მოწინავე მუშები გ. გუბელაძე, რ. გურგენაძე, თ. ციცაძე და სხვ.

ი. კუსიდი

მიმდინარეობს საიუბილეო

ტრეკზე რბოლა

თბილისის ველოტრეკზე ჩატარებულ რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადაზე ველორბოლაში თბილისის 2 გუნდის გარდა მონაწილეობდნენ ქუთაისის და ბათუმის სპორტსმენები. მართალია, ისინი გაცილებით სუსტად გამოიყურებოდნენ, ვიდრე მათი თბილისელი კოლეგები, მაგრამ მათი მონაწილეობა სასიამოვნო ფაქტია, მითუმეტეს, რომ ერთ-ერთმა მათგანმა — ბათუმელმა თ. ნიშნიანიძემ უკან ჩამოიტოვა ძლიერი მეტოქეები და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა შეჯიბრების ურთუველეს სახეობაში (ჯგუფური რბოლა 50 წრეზე 10 საშუალედო ფინიშით).

შეჯიბრება, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა და სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელის მოსაპოვებლად ბრძოლა ძირითადად მათ შორის წარიმართა. გიტში 200 მეტრზე ქალთა შორის სპორტის ოსტატ ა. კარპენკოს ღირსეული მეტოქეობა გაუწია ახალგაზრდა ვ. შახპარონიანმა და მასთან ერთად გაიყო I და II ადგილი. მესამე ადგილზე გამოვიდა მოზარდთა სპორტსკოლის აღზრდილი ლ. სტაშევსკაია ვაჟთა შორის ამავე სახეობაში ჯ. ზანდუკელის, ი. იუხნევიჩის და დ. ბატაშვილის ბრძოლა იუხნევიჩის გამარჯვებით დამთავრდა მეორე ადგილი ბატაშვილმა დაისაკუთრა. ამავე თანმიმდევრობით დაიკავეს მათ ადგილები სპრინტერულ რბოლაში. ქალთა შორის კარგი მომზადება გამოამჟღავნა ვ. შახპარონიანმა, რომელმაც უკან მოიტოვა გამოცდილი მეტოქე სპორტის ოსტატი კარპენკო და რესპუბლიკის უძლიერესი სპრინტერის სახელი. მოიპოვა. ადგილიდან 500 მეტრზე გიტში ქალთა შორის ადგილები შეიცვალა და ამჯერად უძლიერესი აღმოჩნდა სპორტის ოსტატი კარპენკო, რომელმაც მცირე უპირატესობით მოუგო შახპარონიანს.

გამოდევნებით რბოლა 10 წრეზე ვაჟებისათვის ჯ. ზანდუკელის გამარჯვებით დამთავრდა, მეორე ადგილი წილად ხვდა კ. შენგელიას, როგორც ყოველთვის საინტერესოდ ჩატარდა ჯგუფური რბოლა ქალებისათვის 25 წრეზე ხუთი საშუალედო ფინიშით, ხოლო ვაჟებისათვის 50 წრეზე 10 საშუალედო ფინიშით.

ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა შახპარონიანი. ხიფათს ვერ აცდენენ მრბოლელი ვაჟები. ერთდროულად სტარტი აიღო 21 მონაწილემ და ისეთი სიმჭიდროვე შეიქმნა, რომ მათ ოდნავ არაზუსტ მოძრაობას შესაძლებელია მარცხი გამოეწვია. ასეც მოხდა. რბოლის მანძილზე ორჯერ მოუხდათ მრბოლელებს ზოგიერთი მონაწილის წაქცევის გამო (რომელთა შორის აღმოჩნდა პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ჯ. ზანდუკელი) ნეიტრალური წრეების შემოვლა, უკანასკნელ ფინიშს მხოლოდ 12 მრბოლელი შემორჩა. გამარჯვება წილად ხვდა თბილისელ კ. შენგელიას მეორე ადგილზე გამოვიდა ბათუმელი ო. ნიშნიანიძე.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის მეორე გუნდმა. მეორე ადგილზე აღმოჩნდა თბილისის პირველი გუნდი. მესამე ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელ მრბოლელებს.

ა. ბარნოვი

სამბო

კასპის საჭიდაო დარბაზში გაიმართა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში.

პირველი წრიდან დაწინაურდა თბილისის პირველი ნაკრები, რომელმაც საბოლოო ჯამში გამარჯვება მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის II ნაკრები, ხოლო მესამეზე — კასპის მოჭიდავეთა გუნდი. შეჯიბრებაზე კარგი მომზადება გამოამჟღავნეს ბათუმის გუნდის წევრებმა გ. გოგიჩაიშვილმა, გ. გაროზაშვილმა, ქუთაისელებმა ი. იმერლიშვილმა, შ. ჩარკვიანმა, თბილისელმა ი. პეტრიაშვილმა და სხვებმა.

პირად ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: შ. ქუცნიაშვილი, ა. მარტყოფიშვილი, ი. პეტრიაშვილი, ბ. მაზიაშვილი, ლ. ჯაფარიძე, ა. კიკნაძე (ყველა თბილისიდან), ლ. კაციაშვილი და ვ. მარიამული (ორივე კასპიდან).

ჟ. ხოვლელი

ლ ე ლ ო

ფე-2 ბბ. № 47 (1683)

მარად მხნე

ჩვენი სპორტის ვეტერანები

ხიუვარულითა და მადლიერების გრძნობით იგონებს იგი თავის ხათაუვანებელ მწვრთნელს — შესანიშნავ ადამიანსა და სპორტის უანგარო ენთუზიასტს — გიორგი ნიკოლაძეს, რომელმაც პირველმა აუხსნა მას მთამსვლელობის, კალათბურთისა და ტანვარჯიშის ანბანი და მომავლის გზა დაულოცა.

ხუთი წელი გაატარა მარიამ ტყავაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეთრ კედლებში. ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ მნიშვნელოვანი მოხდა მის ცხოვრებაში.

1922 წლიდან იგი უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის ერთ-ერთი პირველი ქალი მსმენელია, საღამოობით კი—დაუღალავად ვარჯიშობს. იგი მყინვარწვერის დასალაშქრავად ემზადება!..

აგვისტოს ერთ დღეს გაოცებული თბილისელები უცნაური სანახაობის მოწმენი შეიქმნენ. ახლანდელი წერეთლის ქუჩაზე მოთავსებული ერთ-ერთი შენობის მესამე სართულიდან აივანზე მიბმული თოკით ფრთხილად მიცოცავდნენ „მთამსვლელები". მათში თავისებური „დიხონანსი" შეჰქონდა მარიამ ტყავაძეს, ვინაიდან იგი ერთადერთი ქალი იყო...

გაიარა რამდენიმე ხანმა და 1923 წლის 26 აგვისტოს მამაცი ალპინისტების ჯგუფმა, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, დალაშქრა მყინვარწვერი. შეუპოვარ მთამსვლელთა შორის იყო მარო ტყავაძეც.

გაიარა რამდენიმე წელმა და ქართველი ალპინისტი ქალი იალბუზის დასაპყრობად მიჰყვება გიორგი ნიკოლაძეს...

ვინ იცის, მას შემდეგ რამდენი მწვერვალი დაუპყრია მარო ტყავაძეს, რამდენჯერ განუცდია მთებთან გამარჯვების სიხარული!..

მაგრამ, როგორი შესანიშნავიც არ უნდა იყოს მარო ტყავაძის სპორტული ბიოგრაფია, იგი წინა პლანზე მაინც თავის დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოღვაწეობას აყენებს. სად არ იყო სამუშაოდ ახალგაზრდა ქალი-ინჟინერი, რა არ უნახავს: აწყობესი, სომხეთის ელექტროსადგური, ბაქსარი, სვირჰესი — აი, იმ სამუშაო ადგილების არასრული დასახელება, სადაც იგი ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა სახახელო შრომით საქმიანობას. მაგრამ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი საქმიანობა ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობაზე. აქ მარო ტყავაძემ და ინჟინერმა მილუტინმა — პირველებმა საბჭოთა კავშირში — დაამონტაჟეს ავტომატური მიკროელექტროსადგურები.

მიუხედავად ასეთი ინტენსიური მუშაობისა, მარო ტყავაძე ერთი წუთითაც არ ივიწყებს სპორტს. იგი მონაწილეობს შორეულ სათხილამურო გადასვლაში: მოსკოვი-ალტაი და თავისებურ რეკორდსაც ამყარებს. რამდენიმე თვის შემდეგ იგი იპყრობს ალტაის მწვერვალს — ბელუხას.

ამუამად მარო ტყავაძე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ინჟინერია. — იგი „ატაცებით" ლაპარაკობს თავის მომავალ გეგმებზე: „გამოზაფხულდება და რუსთავის არწივები კავკასიონის ქედზე უნდა წავიყვანო, მწვერვალები დავაპყრობინო, გავამარჯვებინო"...

თმაგათეთრებული, მაგრამ მხნე და ჯანღონით აღსავსე ქართველი მთამსვლელი ქალი თავის „არწივებთან" ერთად კიდევ ბევრ გამარჯვებას მოიპოვებს!..

შ. ჭიაბრიშვილი



თბილისის ფიზკულტურელის პარკის ხაწყლოსნო აუზში მაისზე ადრე არასდროს არ გახსნილა სეზონი, ახლა კი უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც სპორტსმენები სისტემატურად ატარებენ აქ ინტენსიურ ვარჯიშებს. როგორც მარცხენა სურათზე ჩანს, გასახდელი ოთახიდან ხაწყლოსნო აუზს პირდაპირ აკავშირებს გადახურული „დერეფანი" და მოცურავეებს არ უხდებათ ცივ ჰაერთან უშუალო შეხება.

მაგრამ, წყალი? მიმდინარე სეზონიდან აუზში წყალი ხელოვნურად თბება და სწორედ ეს იძლევა ასეთი ნაადრევი წვრთნის საშუალებას. მეორე სურათზე თქვენ ხედავთ თუ როგორ კარგად გრძნობენ თავს მოცურავეები წყალში მაშინ, როცა ჰაერზე მყოფთ თბილი ტანსაცმლის ჩაცმა უხდებათ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მზარდი პოპულარობით

ამას წინათ ხარკოვში შედგა სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სამბოში ჭაბუკთა შორის, გამარჯვებისათვის იბრძოდა 20 გუნდი, რაც ჭიდაობის ამ სახეობის სულ უფრო მზარდ პოპულარობაზე მეტყველებს.

წინასწარი შეხვედრების შემდეგ ნახევარფინალში გავიდნენ საქართველოს, ლენინგრადის, მოსკოვის, ლატვიის, უკრაინის პირველი და მეორე გუნდები. აღსანიშნავია, რომ პირველივე შეჯიბრება ჩვენს გუნდს მეტად ძლიერ კოლექტივთან მოუხდა — ლენინგრადის სამბისტთა გუნდთან. ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4 : 4. შემდეგ ჩვენმა ჭაბუკებმა ზედიზედ დაამარცხეს რამდენიმე მეტოქე და მოიპოვეს მეორე საპრიზო ადგილი. პირად ჩათვლაში ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ბათუმელმა გ. გოგიჩაიშვილმა და თბილისელმა გ. იშხანიშვილმა.

პირველი ადგილი წილად ხვდა უკრაინის პირველ გუნდს.



„ბ" კლასში

„რიწა" (სოხუმი)-„ბანგა" (კაუნასი) — 2:0

სოხუმელ ფეხბურთის მოყვარულთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია მათი გუნდის სადებიუტო ოფიციალურმა მატჩმა საკავშირო პირველობაზე „ბ" კლასის გუნდებს შორის. სოხუმის „რიწის" პირველი მოწინააღმდეგე იყო კაუნასის „ბანგა".

სტუმრებმა ენერგიული იერიშით დაიწყეს თამაში. ისინი ტექნიკური მომზადებით ჩამორჩებოდნენ სოხუმელებს და ცდილობდნენ უპირატესობა მოეპოვებინათ საერთო ფიზიკური მომზადების ხარჯზე, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება და მალე თვითონ გადავიდნენ ხანგრძლივ იერიშზე. „ბანგას" კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, რომელთაგან ერთერთი 34-ე წუთზე დამთავრდა გოლით: გაგუამ ისარგებლა საჯარიმო მოედანზე შექმნილი არეულობით და ბურთი ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბადეში — 1:0.

შესვენების შემდეგ სოხუმელებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა. გუნდი თამაშობდა მაღალ ტემპში, შეთანხმებულად. მე-14 წუთზე კაუნასელთა კართან ზედიზედ ორჯერ იქნა მოწოდებული კუთხური საჯარიმო. მინჯიამ მიიღო ბურთი და ანგარიში ორამდე გაზარდა.

ამრიგად, „რიწამ" თავისი პირველი მატჩი მოიგო ანგარიშით 2:0. გუნდი ამ დღეს თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: თბილელაშვილი; დარახველიძე, გიგავა, ვოდიანიცკი; კაკაჩია, სიჭინავა; ფიფია, გაგუა, მინჯია, გრამატიკოპულო, ზარდანია.

ვ. ცანავა

✦

„დინამო" (ბათუმი)-სკფ (ტალინი) — 3:1

ბათუმელებმა მატჩის დასაწყისშივე შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და ტალინელთა დაცვა იძულებული იყო სრული დატვირთვით ემუშავა. მაგრამ ისეთ მომენტებშიც კი, როცა გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, თავდამსხმელები ან არაზუსტად ურტყამდნენ, ან ზედმეტად აწოდებდნენ ბურთს ერთმანეთს, ამით კარგად სარგებლობენ სტუმრები და ასწრებდნენ სახიფათო მომენტების ლიკვიდირებას. „დინამოს" უპირატესობაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მათ პირველ ტაიმში 8-ჯერ მოაწოდეს კუთხური სტუმრების კართან, ხოლო სტუმრებს ამის შესაძლებლობა გაცილებით ნაკლები ჰქონდათ. მაგრამ მათ უკეთ გამოიყენეს ისინი და სწორედ კუთხურიდან მოწოდებული ბურთით გახსნეს ანგარიში.

ანალოგიურად მიმდინარეობდა თამაში მეორე ტაიმშიც და შეიძლება ითქვას ტალინელებმა ერთგვარად ხელი შეუწყეს მასპინძლებს მათი უპირატესობის რეალიზაციაში. მე-13 წუთზე სკფ-ის ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ზუსტად იგივე გაიმეორა სხვა მცველმა, ორივე პენალტი შეუცდომლად გამოიყენა მენაბდემ და ანგარიში გახდა 2:1.

ამის შემდეგ ბათუმელთა თამაშს მეტი დამაჯერებლობა მიეცა. გუნდის ერთ-ერთი იერიშისას ჩხარტიშვილი გავიდა ორ მცველს შორის, მოატყუა წინ გამოსული მეკარეც და ღიად დარჩენილ კარში გაგზავნა ბურთი — 3:1.

ბათუმელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: კაჭარავა; სერგა, ჯოხაძე, ქინქლაძე; ძნელაძე, ლორია (მინასიანი); დანელია, ჩხარტიშვილი, მენაბდე, პატარაია, შაფათავა.

ვ. მოსეშვილი

◆

„ტორპედო" (ქუთაისი)-„ალგა" (ფრუნზე) — 1:0

აღნიშნულ მატჩამდე ქუთაისელები ოთხჯერ არიან ნათამაშები ფრუნზეს გუნდთან. ამ შეხვედრებში ქუთაისელებმა გაიმარჯვეს ერთხელ, დამარცხდნენ ორჯერ და ერთი მატჩი დაამთავრეს ფრედ.

მატჩის დასაწყისი კარგს არას უქადდა ტორპედოელებს. სტუმრებმა, რომლებსაც ახასიათებთ უდიდესი ენერგია, ბრძოლისუნარიანობა და სისწრაფე, მძლავრი შეტევით დაიწყეს თამაში და რამდენიმეჯერ საფრთხის წინაშე დააყენეს „ტორპედოს" კარი.

შემდგომში ტორპედოელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და მალე წარმატებასაც მიაღწიეს: ხაჟალიამ მიიღო ლეჟავასგან გადაცემა, შეიჭრა სტუმრების საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მცველებმა უჭანასკნელ მომენტში მოცელეს იგი, 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა სორდიამ — 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ სარკველაძის ძლიერი დარტყმა მოხვდა კარის ძელს.

მეორე ტაიმის მე-19 წუთზე სტუმრებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია: გრიშიჩკინი-იგნატენკო-ზაპოროჟეცკი და ამ უკანასკნელის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი შესანიშნავი ნახტომით აიღო მეკარე ურუშაძემ. ამის შემდეგ ქუთაისელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები არ იყო ზუსტი. გუნდი დასჯერდა მოგებას მინიმალური ანგარიშით — 1:0.

ლ. ფაჩუაშვილი

„მეტალურგი" (რუსთავი)-„ენბეკი" (ჩიმკენტი)—6:2

16 აპრილს რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე შედგა „ბ" კლასის საკავშირო გათამაშების პირველი მატჩი მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებისათვის. თამაშობდნენ „მეტალურგი" (რუსთავი)-„ენბეკი" (ჩიმკენტი).

მატჩის შედეგი დამსწრეთა შორის ეჭვს არ იწვევდა თითქმის პირველი წუთებიდანვე. მას შემდეგ, რაც „მეტალურგის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ყოჩიაშვილმა მე-3 წუთზე გაიტანა პირველი გოლი, ცხადი გახდა, რომ რუსთავის ფეხბურთელები ყოველმხრივ ჯობდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. 25-ე წუთზე ნახევარმცველმა რამიშვილმა ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ჯავახიშვილმა მოუსწრო მცველის მიერ მეკარისათვის მიწოდებულ ბურთს და კარში გაგზავნა იგი — 3:0.

„ენბეკმა" მეორე ტაიმში მნიშვნელოვნად გამოასწორა თამაში და მოწინააღმდეგის მიერ გატანილ 3 გოლს უპასუხა ორით. საბოლოოდ გამარჯვება დარჩა რუსთავის „მეტალურგს" ანგარიშით 6:2.

რ. მორჩილაძე

უელსი თუ ესპანეთი?

19 აპრილს უელსში ქ. კარდიფის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან უელსისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. ესაა ამ გუნდების პირველი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში. ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ამ ძლიერ ნაკრებთაგანი ჩილში ვერ გაემგზავრება, შეხვედრას განსაკუთრებულ ინტერესს ანიჭებს. მეორე მატჩი უნდა შედგეს მადრიდში, 18 მაისს.

წლების განმავლობაში ესპანეთის ნაკრები კომპლექტებოდა სამი უძლიერესი პროფესიონალური კლუბისაგან: მადრიდის „რეალის“, „ბარსელონასა“ და ბილბაოს „ატლეტიკოსაგან“, ამასთან ელენიო ერერა „ბირთვად“ მაინც „ბარსელონას“ იღებდა. წელს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ესკარტინმა გაითვალისწინა კატალონიელთა დიდი მარცხი ეროვნულ ჩემპიონატში და ახლად შედგენილ კოლექტივში ძირითადად „რეალის“ მოთამაშეები შეიყვანა.

ესკარტინმა დაიწუნა ნაკრების მრავალწლიანი „ბურჯი“, მეკარე რამალეტსი, რომელიც ისევ თამაშობს „ბარსელონაში“. იგი შეცვალა „რეალის“ ახალგაზრდა მეკარემ ხოსე ვისენტემ, მცველებად ითამაშებენ კასადო (მადრიდის „რეალი“) და რივალა (მადრიდის „ატლეტიკო“). ფრანგებთან მატჩში ამ მცველებმა საუცხოოდ გაართვეს თავი ძნელ ამოცანას. ცენტრალური მცველია ურუგვაის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ხოსე ემილიო სანტამარია.

ნახევარმცველები არიან ენრიკე გენსანა („ბარსელონა“) და ხოსე მარია ვიდალი („რეალი“).

ესპანელები განთქმულნი არიან თავიანთი კარგად შეთამაშებული თავდასხმით. მარჯვენა გარემარბი ენტო ტეხადა 27 წლისაა. იგი ცნობილია, როგორც გარღვევების ოსტატი და დიდად შედეგიანი ფეხბურთელიც. ამასთან ტეხადა კარგადაა შეთამაშებული მარჯვენა შუამარბ კუბალასთან, რომელთანაც არაერთი სეზონი გაატარა „ბარსელონაში“.

ცენტრფორვარდი ალფრედო დი სტეფანო (დაიბ. 1926 წელს) მომომხიბლველთა საერთო აღიარებით კარგ ფორმაშია. იგი უწინდებურად „დირიჟორობს“ პარტნიორებს და უტევს კარს. მაგრამ ესკარტინს მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს დი სტეფანოს ურთიერთობა სუარესთან (დაბ. 1935 წ.). მათი მტრობა წლების განმავლობაში ისეთ ფორმებს იღებს, რომ შეუძლებელიც კი ხდება ამ ფორვარდების ერთად თამაში. დი სტეფანოს ბარსელონაში, ხოლო სუარეს მადრიდში გაუთავებელი სტვენით ხვდებიან. ამიტომ მწვრთნელმა ბოლოს-დაბოლოს გადაწყვიტა არჩევანი გაეკეთებინა ამ „პირველულ“ „ვარსკვლავებს“ შორის. ფრანგების წინააღმდეგ სუარესი შეცვალა უნივერსალურმა ფეხბურთელმა ლუის დელ სოლმა „რეალიდან“. დელ სოლი თანაბარი წარმატებით თამაშობს, როგორც ნახევარმცველის, ისე გარემარბის და შუამარბის პოსტზე. კარდიფის მატჩშიც თავდაცვითი ტაქტიკის არჩევის შემთხვევაში დელ სოლი ესპანელთა „იმედი“ იქნება. მარცხენა გარემარბია გამოჩენილი ჩილელი ფეხბურთელი ფრანცისკო ჰენტო (27 წლისა).

უელსის ნაკრები ჩინებულად თამაშობდა შვეიცარიაში, სადაც, როგორც ცნობილია, ესპანელები ვერ მოხვდნენ. გუნდი დაკომპლექტებულია ინგლისის პროფესიულ კლუბების მოთამაშეებისაგან და თამაშობს ტიპიურ ბრიტანულ ფეხბურთს, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ უელსელებმა თხოვნით მიმართეს იტალიურ კლუბ „იუვენტუსს“ ესპანელებთან თამაშისათვის დაეთმო ცნობილი ცენტრფორვარდი ჩარლზი, „იუვენტუსი“ დათანხმდა, მაგრამ სულ უკანასკნელ მომენტში ჩარლზს ნება არ დართეს გამგზავრებულიყო სამშობლოში. იტალიელთა ვერაგობამ უელსელები მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან ჩარლზი ნაკრების წამყვანი ფეხბურთელია. თავდასხმაში გამოირჩევიან გარემარბები „ტოტენჰემ ჰოტსპურიდან“ კლიფ ჯონსი (№ 7) და ტერენს მედვინი. უელსელთა გუნდის ბურჯია ჯონ ჩარლზის ძმა მელ ჩარლზი „არსენალიდან“. ძმის მსგავსად ესაა ათლეტური მონაცემების მქონე ფეხბურთელი.

კარდიფის მატჩისათვის მეტოქეები დიდხანს და შეუპოვრად ემზადებოდნენ. იგი ცენტრალური თამაშია არა მარტო ქვეჯგუფში, არამედ მსოფლიოს VII ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებშიც.

ბ. ბამრეკელი

ამას წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტმა მოაწყო შეჯიბრება მსუბუქი ავტომანქანების ტარებაში.

სურათზე: ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი კ. ლვინერია გადის დაბრკოლებას.

ფოტო ბ. თარალაშვილისა.



ეროვნული ჩემპიონატი

ბოსტაურის რაიონის მოსწავლეთა საჭადრაკო პირველობამ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. ვაჟთა შორის I-II ადგილები გაიყვეს თ. კუტუბიძემ (ბუკნარი) და ს. ბარამიძემ (ვანზომელთი). გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა ნ. მილაძე (ბავშვთა სახლი).

დ. გურგენიძე

* * *

ქარელის რაიონის მასწავლებელთა პირად-გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში ერთ კვირას გაგრძელდა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა წილად ხვდა აგარის საშუალო სკოლის გუნდს. პირად პირველობაში ჩამპიონის სახელი დაისაკუთრა ს. თორთლაძემ (აგარის საშ. სკოლა), რომელმაც 13 ქულა მოაგროვა 14-დან.

ბ. კალანდარაშვილი

ფეხბურთში 1961 წლის მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები

*

როცა 1959 წლის პირველ დღეებში სიერა მაესტრას მთებიდან მომავალი ფიდელ კასტროს სახალხო არმიის გმირი მებრძოლები დედაქალაქ ჰავანაში შედიოდნენ და ამით მსოფლიოს აუწყებდნენ რევოლუციის გამარჯვებას, დიდი ანტილიის ამ კუნძულზე სულ რაღაც ოთხიოდე სპორტული ბაზა არსებობდა, რომლებიც მხოლოდ დედაქალაქში იყვნენ განლაგებული და პრივილეგირებული კლასის კლუბების წევრებს ემსახურებოდნენ. ბატისტას ფაშისტური რეჟიმის დროს სპორტიც ამერიკული იმპერიალიზმის ინტერესებს იყო დაქვემდებარებული. აშშ-ს პროფესიონალური კლუბები თავიანთ წევრებს აგზავნიდნენ კუბაში, სადაც წვრთნას გადიოდნენ ბეიზბოლისა და კრივის დიდი მატჩების წინ. მენაჯერები ზრუნავდნენ, რომ თავიანთ პროფესიონალებისათვის კუბაზე მოეძებნათ პარტნიორები საწვრთნელი ვარჯიშისათვის.

ჯერ კიდევ საბრძოლო მოქმედებათა დროს განთავისუფლებულ რაიონებში იქმნებოდა ე. წ. ფიზკულტურის საქალაქო და პროვინციული წარმომადგენლობანი.

ქვეყანაში აღფრთოვანებით იქნა მიღებული ახლადშექმნილი „სპორტის გენერალური დირექტორიუმის“ ლოზუნგი: „მეტი სპორტი წარსულის უხამსობათა მაგივრად“.

გენერალურ დირექტორიუმს განზრახული აქვს პირველყოვლისა განავითაროს სპორტის საზეობები, სადაც შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის უფართოესმა ფენებმა: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ჭადრაკი. კუბაზე ამჟამად ფრენბურთის 285 გუნდი ითვლება. სპორტის ეს სახეობა განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება. თებერვალში დაიწყო კუბის პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც ჯერჯერობით ახალგაზრდული გუნდები მონაწილეობენ.

სპორტული ბაზების რიცხვმა უკანასკნელ ხანებში 24-ს მიაღწია. მათს მშვენებას წარმოადგენს ამ ცოტა ხნის წინ აგებული სპორტული ბაზა ჰავანაში. აქ შესაძლებელია შეჯიბრებათა ჩატარება სპორტის თითქმის ყველა სახეობაში.

კუბელმა სპორტსმენებმა უკვე სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. უკანასკნელ პანამერიკულ თამაშებზე ჩიკაგოში მათ 6 ოქროს მედალი მოიპოვეს. მოსალოდნელია, რომ მათი წარმატება უფრო დიდი იქნება მომავალ პანამერიკულ თამაშებზე იამაიკაზე და 1964 წელს ტოკიოში, რაც მთელ მსოფლიოს ნათლად დაანახვებს, რომ კუბის რევოლუცია სპორტშიც შეუჩერებლივ მიიწევს წინ.

* * *



რევოლუცია სპორტში

სურათებზე: ქ. ჰავანის სპორტული ბაზის ვეება წრიული შენობა, სპორტის გენერალური დირექტორიუმის პრეზიდენტი რევოლუციური არმიის კაპიტანი ფელიპე გუერა მატოსი (მარცხნივ) და ფიდელ კასტრო.

ოლიმპიადა

კასპელი თ. კოპაძე გვეკითხება შაშის წესების შესახებ. მოგვყავს საქართველოს ჩემპიონის, ოსტატობის კანდიდატის ვ. ნეიმარკის პასუხი.

ისევე, როგორც ჭადრაკში შაშიც, თამაშს იწყებენ თეთრები. შაშის მოძრაობა ხდება დიაგონალით — ერთ უჯრიდან მეორეზე. შაშს, რომელიც ჯერ კიდევ არ გასულა დამკად, ეწოდება უბრალო. უბრალო შაში მოძრაობს მხოლოდ წინ მეზობელ ირიბ უჯრაზე. ასეთ სვლას „წყნარი“ სვლა ეწოდება, შაშის აყვანის სვლას ეწოდება „დამრტყმელი“ სვლა. ეს სვლა შესაძლებელია გაკეთდეს როგორც წინ, ისე უკან მოკვლით. „რთულ დარტყმით“ სვლა ეწოდება ისეთ სვლას, როცა ერთი შაშით ავიყვანთ მოწინააღმდეგის რამდენიმე შაშს, დარტყმითი სვლის ყველა შემთხვევაში სავალდებულოა, რომ მოკლული შაშები აყვანილ იქნას მხოლოდ სვლის დამთავრების შემდეგ.

როცა შაში მიაღწევს ბოლო ჰორიზონტალს, იგი გადაიქცევა დამკად, რაც აღინიშნება ერთმანეთზე ორი შაშის დადებით. თუ შაში წყნარი სვლით გავიდა დამკაში, მას არ შეუძლია მყისვე განახორციელოს მოკვლა. თუ კი იგი დამკაში გავიდა მოკვლის შედეგად, მან უნდა განაგრძოს დარტყმითი სვლები, უკვე როგორც დამკამ.

ფუკა, ე. ი. დარტყმითი სვლის უფლების გამოტოვება, არსებობს ძველი დროიდან, მაგრამ დღეს იგი გაუქმებულია.

შაშის თამაშის საბოლოო მიზანია მოვსპოთ მოწინააღმდეგის ყველა შაში ან ჩავკეტოთ იგი.

დამკა, რომელსაც უკავია დიდი დიაგონალი, არ შეიძლება დაჭერილ იქნას სამი დამკის მიერ.

შაშში სპორტული თანრიგის მიღებისათვის დადგენილია ისეთივე წესები როგორიც ჭადრაკში.

ევროპის თასზე

ბარსელონაში შედგა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონი „ჰამბურგი“.

ესპანელებმა დაძაბული ბრძოლის შედეგად შეძლეს გამარჯვების მოპოვება მინიმალური განსხვავებით — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი, რომელმაც მასპინძლებს მოუტანა გამარჯვება, გაიტანა „ბარსელონას“ მიერ ბრაზილიაში შეძენილმა ფეხბურთელმა ევარისტომ.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“,
ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05509